ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №18/136

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2018წ.

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილე ლერი სარაიდაროვის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თბილი სახლი“, ს/კ: 204976179 (შემდგომში “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორ მალხაზ კურტანიძის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) „ შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის შენიშვნები.
1.2. „შემსყიდველი“ ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ადგილი

2.1. ხელშეკრულების (CPV-45331110) საგანია მომსახურების (შემდგომში „მომსახურება“) შესყიდვა, №1 დანართის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კერძოდ, „შემსყიდველის“ საკუთრებაში არსებულ შენობაში დიზელის ავზის დემონტაჟი/მონტაჟი, „მიმწოდებლის“ მასალებით.
2.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამთავრობო გასასვლელი.

3. შესყიდვის ობიექტი

3.1. ხელშეკრულების ობიექტია „შემსყიდველისათვის“ 2.1 პუნქტში მითითებული მომსახურების მიწოდება.
3.2. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება „ხელშეკრულების“ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1. „მომსახურების“ ფასი განისაზღვრება ლარებში.
4.2. მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 797 (შვიდას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარს.
4.3. „ხელშეკრულების“ ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

5. მომსახურეობის ხარისხი

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ „მომსახურების“ ხარისხი შეესაბამება „ხელშეკრულების“ პირობებს და დააკმაყოფილებს „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
5.2. „მიმწოდებელი“ იძლევა ერთწლიან საექსპლოატაციო გარანტიას მიწოდებულ „მომსახურებაზე“, საგარანტიო ვადა აითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „მომსახურება“ ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
7.2. „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, „მიმწოდებლის“ რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.
7.3. „შემსყიდველი“ განახორციელებს ანგარიშსწორებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.4. ანაზღაურების ადგილი: ქალაქი თბილისი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.1.1. შეამოწმოს „მომსახურების“ ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
8.1.2. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ დეტალური ინფორმაცია „მომსახურების“ შესახებ;
8.1.3. მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
8.2.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
8.2.2. „ხელშეკრულების“ ვადების შესაბამისად ჩაურიცხოს „მიმწოდებელს“ „მომსახურების“ ღირებულება.
8.3. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.3.1. მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „მომსახურების“ ფასის ანაზღაურება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
8.3.2. მოითხოვოს „შემსყიდველისგან“ ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
8.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
8.4.1. დაიცვას „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის ხელშეკრულებით დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 პროცენტის ოდენობით.
9.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, მხარეს რომელსაც მიადგა ზიანი, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. „ხელშეკრულება“ ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2. „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „ხელშეკრულების“ დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილად.
11.3. „ხელშეკრულება“ შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1. „ხელშეკრულების“ დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ „ხელშეკრულების“ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
12.2. „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან
„მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მხარეებისაგან.
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ფორს-მაჟორულ გარემოებებზე, როგორც ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძველზე აპელირების უფლებას და ეკისრება პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებითა“ და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს ცნობით. დადასტურება არ არის აუცილებელი საყოველთაოდ ცნობილი გარემოებების არსებობის შემთხვევაში.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება, რომელიც წარმოიქმნება „ხელშეკრულების“ პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომსახურეობის“ შესრულების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია „მომსახურეობის“ შესაბამისობის დადგენა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
14.2. „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს სააგენტოს ღონისძიებებისა და სერვისული მომსახურების განყოფილების უფროსი ირაკლი ზაალიშვილი.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
15.2. „მიმწოდებელს“ არ შეუძლია თავისი უფლებებისა და მოვალეობების მესამე პირზე დელეგირება, „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორ) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

15.6. „ხელშეკრულების“ პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება „ხელშეკრულების“ დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

15.7. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ წინასწარი წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

15.8. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო“ ქ.თბილისი, დადიანი/გალაქტიონის ქ. №13/18, ს/კ: 204522793 სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: GE24NB0330100200165022	შპს „თბილი სახლი“ ს/კ: 204976179 იურ. მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ., №76 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის SWIFT კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE19BG0000000175579101
ლერი სარაიდაროვი დირექტორის მოადგილე	მალხაზ კურტანიძე დირექტორი
---	---
ბ.ა.	ბ.ა.

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	მომსახურების რაოდენობა	ჯამური ღირებულება (ლარი)
1)	დიზელის ავზის მონტაჟი/დემონტაჟი, მილგაყვანილობისა და საიზოლაციო მასალების გათვალისწინებით*	1	797
	სულ ჯამი:	**797 ლარი**	

* მიწოდებულ მომსახურებაზე მოქმედებს ერთწლიანი საგარანტიო ვადა, რომლის ათვლა იწყარმოება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების (ხელმოწერის) დღიდან.

შემსყიდველი

ლერი სარაიდაროვი
დირექტორის მოადგილე

.....

204522793

ბ.ა.

მიმწოდებელი

მალხაზ კურტანიძე
დირექტორი

.....

204976179

ბ.ა.

1. სერგო გელაშვილი - სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

2. დავით გიგაშვილი - ეკონომიკური სამსახურის უფროსი.

3. გიორგი კერესელიძე - მთავარი ბუღალტერი.